## ხელშეკრულება №27

ქ. სენაკი „--7--" --მაისი------- 2012 წ.

იდება ერთის მხრივ, აიპ "სენაკის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის, დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრის" დირექტორის გ. წულეისკირს შემდგომში "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ი/მ "იური ცირამუა" შემდგომში "მიმწოდებელი" შორის მასზედ, რომ მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს სხვადასხვა ელექტრო და სამეურნეო საქონელი.

### 1. საქონლის მიწოდების პირობები და ვადები

1.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესააბამისად

1.2. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად უნაკლო საქონელი

1.3. საქონლის მიწოდების ვადები ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით

### 2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებია წესი

2.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით

2.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია

### 3. ანგარიშსწორება

3.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

3.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდების და აღნიშნულის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან მომდევნო თვის 15 რიცხვამდე

3.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახდო დოკუმენტაცია

3.4 ანგარიშწორების ადგილია ქ. სენაკი.

### 4. მხარეთა უფლება-მოვალეობა

4.1 შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მომსახურების ხარისხიანად და დროულად გაწევა

4.2 მიმწოდებელმა შემსყიდველს წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

4.3 მიმწოდებელს უფლება აქვს მოითხოვოს შემსყიდველისაგან გაწეული მომსახურების ღირებულების დროული ანაზღაურება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4.4 ხელშეკრულების პირობებში არავითარი გადახრა ან ცვლილება არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარეშე.

## 5. ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება წერილობითი შეტყობინების შემდეგ: თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები

5.2. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

## 6. სადაო საკითხების გადაწყვეტა

6.1. მხარეებმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ხელშეკრულების გარშემო შექმნილი ყველა უთანხმოება და დავა.

6.2 თუ მხარეები 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს

## 7. სხვა პირობები

7.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების მენისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

7.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

შემსყიდველი

ააიპ "სენაკის მუნიციპალიტეტისკეთილმოწყობის დასუფთავების და გამწვანების მოვლა-პატრონობის ცენტრი დირექტორი: /გ. წულეისკირი/

მის: სენაკი ახალგაზრდობის ხეივანი № 7
"ლიბერთი ბანკი" სენაკის ფილიალი
ბ/კ 220101450 ს.კ 439860465
ანგარიშის №GE75LBO115155431019000

მიმწოდებელი

ინდ/მეწარმე "იური ცირამუა"

მის: ქ. სენაკი რუსთაველის ქ. №180
"საქართველოს ბანკი" სენაკის ფილიალი
ბ/კ BAGAGE22 ს/კ 39001006799
ანგ №. 247794700